

FREIGHT FORWARDERS' & CARRIERS' LIABILITY INSURANCE POLICY WORDING – FFL/C-001/22

ქვესკადითორისა და გადაზიდვლის პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები - FFL/C-001/22

Section/მუხლი 1 - Insuring Clauses / დაზღვევის პირობები

A Introduction

Please read the entire policy carefully to determine your rights, duties and what is and is not covered. Throughout this policy the words 'you' and 'your' refer to the Insured as shown in the Schedule. The words 'we', 'us' and 'our' refer to Insurance Company Aldagi (hereafter referred to as Insurer). This policy, the Schedule, the quotation, proposal form and any endorsements shall be considered as one document and any words or expressions to which a specific meaning has been attached in any one of these documents shall bear the same meaning throughout. Please also refer to the section 9, definitions.

შესავალი

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე პირობების მთელ შინაარსს, რათა განსაზღვროთ თქვენი უფლებები, მოვალეობები და ის, თუ რა იფარება და რა არ იფარება დაზღვევის მიერ. წინამდებარე პირობებში სიტყვები "თქვენ" და "თქვენი" შეეხება დაზღვეულ პირს, როგორც ეს მითითებულია პოლისში. სიტყვები "ჩვენ" და "ჩვენი" შეეხება სადაზღვევო კომპანია ალდაგს (შემდგომში მზღვეველი). წინამდებარე დაზღვევის პირობები, დაზღვევის პოლისი, მისი ნებისმიერი დანართი და განაცხადი განხილული უნდა იქნას ერთ დოკუმენტად და ნებისმიერ ამ საბუთში სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ სიტყვას ან გამოთქმას იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სხვა საბუთებშიც. გთხოვთ იხილოთ აგრეთვე მუხლი 9 (ტერმინთა განმარტება).

B Claims Notification

In consideration of the payment of the premium, and reliance upon the statements in the proposal form, any supplementary information and the provisions of this policy, we agree to indemnify you in respect of Claims covered under this policy which you neither intended nor reasonably should have expected arising as a result of your Scheduled insured services, PROVIDED THAT:

შეტყობინება სადაზღვევო მოთხოვნების შესახებ

პრემიის გადახდის სანაცვლოდ და იმ პირობით, რომ განაცხადში აღნიშნული განცხადებები და თქვენს მიერ მოწოდებული ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს, წინამდებარე პირობების დებულებების შესაბამისად ჩვენ თანახმა ვართ აგინაზღაუროთ წინამდებარე პირობებით დაფარულ მოთხოვნებთან დაკავშირებული ზარალი, რომელიც დადგა თქვენთვის მოულოდნელად და თქვენი წინასწარი განზრახვის გარეშე იმ პირობით, რომ:

(a) such **Claims made** against you are first received by you **during the Period of Insurance**; and

თქვენს წინააღმდეგ წამოყენებული ასეთი მოთხოვნები თქვენს მიერ პირველად მიღებული იქნა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში; და

(b) the incident giving rise to such Claims was not known by you prior to the Period of Insurance; and

სადაზღვევო პერიოდამდე თქვენთვის ცნობილი არ იყო იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო ამგვარ მოთხოვნას; და

(c) you give written notification to us of such Claims made, or of an accident which may give rise to a claim in the future, within **24 hours** after a claim being made to you or receiving notification in respect of an accident and the date of receipt of such written notification by us falls within the Period of Insurance.

თქვენს მიერ ჩვენთვის მოწოდებული იქნა წერილობითი შეტყობინება წამოყენებული მოთხოვნის ან იმ უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც შემდგომში შეიძლება საფუძვლად დაედოს მოთხოვნის წამოყენებას, თქვენს მიერ მოთხოვნის მიღებიდან ან უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში და ჩვენს მიერ ამგვარი წერილობითი შეტყობინების მიღებას ადგილი აქვს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

C Additional Notification Period

Where a Claim is made or an accident occurs on the last day of the Period of Insurance, period of notification shall be extended for 24 hours and the notification received by us during such an extended period will be treated as if it had been received on the expiry date of the Period of Insurance.

დამატებითი შეტყობინების პერიოდი

თუ მოთხოვნა წარმოიშვა ან უბედური შემთხვევა დადგა სადაზღვევო პერიოდის ბოლო დღეს, თქვენს მიერ ჩვენთვის წერილობითი შეტყობინების მოწოდების ვადა გაგრძელდება 24 საათით და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შემოსული შეტყობინება განიხილება ისე, როგორც სადაზღვევო პერიოდის ბოლო დღეს მიღებული შეტყობინება.

D Retroactive Date

In addition to section 1 paragraph B, this policy shall only provide cover for your Scheduled insured services that you have provided on or after the **retroactive date** which is deemed to be **at inception of this policy** unless specifically agreed otherwise in your Schedule.

უკუქმედების ძალის მექონე თარიღი

1-ლი მუხლის B პუნქტში მოცემულთან ერთად, წინამდებარე პოლისის მოქმედება შემოიფარგლება თქვენს მიერ წინამდებარე დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ გაწეული მომსახურებით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული თქვენს პოლისში.

Section/მუხლი 2 – Insured Services/დაზღვეული მომსახურება

Your Schedule will show which of your services shall be insured under each section of cover or any standard endorsement to this policy. It is a condition of coverage that liability arises in the normal course of your providing the insured services which shall be those services which you have requested to be insured for and have been granted coverage for by us as identified in your Schedule.

თქვენს პოლისში მითითებული იქნება, თუ მომსახურების რა სახეებია დაზღვეული წინამდებარე პირობებით ან პირობების ნებისმიერი დანართით. მზღვეველის პასუხისმგებლობა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზარალი დადგება თქვენს მიერ იმ მომსახურების გაწევის პროცესში, რომლის დაზღვევაც თქვენ მოითხოვეთ და რომელიც განსაზღვრულია პოლისში, როგორც დაზღვეული მომსახურების სახე.

Section/მუხლი 3 - Cargo and Related Liabilities/ტვირთი და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები

A Subject to sections 1, 2, 7, 8 and 9, we will indemnify you in respect of your legal liability to any Claim:

- (i) for physical loss of or physical damage to Cargo provided such legal liability arises from:
 - (a) an international transport convention;
 - (b) national transport law which is compulsorily applicable to you;
 - (c) any standard trading conditions approved by a national freight forwarding, road haulage or warehousing association of which you are a member;
 - (d) FIATA or COMBICON bill of lading;
 - (e) your own house bill of lading or standard trading conditions provided such conditions and limitations of carriage or trade accept no greater liability or responsibility on you than those in the FIATA standard bill of lading or national association standard conditions respectively; or
 - (f) a contract that is noted as approved by us in your Schedule;
- (ii) arising from physical loss of or physical damage to a Vessel or equipment owned or operated by your subcontractor or Customer;
- (iii) for consequential loss directly arising from (i) or (ii) above;
- (iv) following a **error and/or omission**, by you, your agent or sub-contractor resulting in:
 - (a) incorrect or wrongful delivery of Cargo; or
 - (b) delay in the handling of your Customer's Cargo; or
 - (c) failure to fulfill your contractual obligations other than those set out in A (i) or (ii) above.
- (v) arising from Cargo's contribution to general average and salvage which you are unable to recover from a Customer.

- A** მუხლებში 1, 2, 7, 8 და 9 მოცემული დებულებების შესაბამისად ჩვენ აგინაზღაურებთ თქვენი იურიდიული პასუხისმგებლობის დადგომით გამოწვეულ შემდეგ შემთხვევებს:
- (ი) ტვირთის ფიზიკური დაზიანება ან დანაკარგი იმ პირობით, რომ აღნიშნული იურიდიული პასუხისმგებლობა წარმოიშობა
 - (ა) საერთაშორისო სატრანსპორტო კონვენციის საფუძველზე;
 - (ბ) საქართველოს კანონმდებლობის იმ ნორმების საფუძველზე, რომელიც სავალდებულოა თქვენთვის;
 - (გ) ნებისმიერი სტანდარტული სავაჭრო პირობის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია ეროვნული ექსპედიტორთა, საგზაო გადამზიდველთა ან ტვირთის შემნახველთა ასოციაციის მიერ, რომლის წევრიც ხართ თქვენ;
 - (დ) FIATA-ს ან COMBICON-ის სატრანსპორტო ზედნადების საფუძველზე.
 - (ე) თქვენი კომპანიის სატრანსპორტო ზედნადების ან სტანდარტული სავაჭრო პირობების საფუძველზე, იმ პირობით, რომ ასეთი პირობები და მომსახურებაზე პასუხისმგებლობის ლიმიტები არ გაკისრებთ იმაზე მეტ პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას, ვიდრე FIATA-ს სტანდარტული სატრანსპორტო ზედნადები ან ეროვნული ასოციაციის სტანდარტული პირობები; ან
 - (ვ) კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც მითითებულია პოლისში, როგორც ჩვენს მიერ დამტკიცებული კონტრაქტი;
- (იი) თქვენი ქვეკონტრაქტორის ან მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ან მათ მიერ მართული ხომალდის ან აღჭურვილობის ფიზიკური დაზიანება ან დაკარგვა;
- (იიი) არაპირდაპირ ზიანს, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს წინამდებარე მუხლის (ი) და (იი) პუნქტებში აღნიშნული შემთხვევებით;
- (ივ) თქვენი, თქვენი წარმომადგენლის ან ქვეკონტრაქტორის **შეცდომით** გამოწვეულ:
- (ა) ტვირთის არასათანადო მისამართზე მიტანა ან არაუფლებამოსილი პირისათვის მიწოდება; ან
 - (ბ) მომხმარებლის ტვირთის დამუშავების დაყოვნებით; ან
 - (გ) თქვენს მიერ თქვენი სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით, გარდა A(i) ან A(ii) პუნქტებში მოცემული ვალდებულებებისა.
 - (ვ) საერთო ავარიასა და გადარჩენის ხარჯებში ტვირთის წილი, რომელიც არ ანაზღაურდება მომხმარებლის მიერ.

B Exclusions only applying to this section:

This policy will not cover you for any Claim arising directly or indirectly:

- (i) to the extent that it is increased due to any declaration of value by your Customer;
- (ii) resulting from an agreement by you to perform your services at or within an agreed time;
- (iii) under a contract of carriage which requires you to accept liability:
 - (a) if delivery is not made within a certain time; or
 - (b) for loss of or damage to the Cargo without a weight or package limitation;

- (iv) from any of your services that are subcontracted to a third party operating in any country in Africa (excluding South Africa), Iran, Iraq, Yemen, Lebanon, Syria, Afghanistan, Myanmar, Cambodia or South America (except Chile), Albania, Cuba and North Korea except where you subcontract the carriage of cargo to a party under a single contract which covers at least the same period of responsibility as your contract and such party does not contract to act as your agent for such period;
- (v) out of a provision in a contract with your Customer whereby you incur liability without fault or negligence by you;
- (vi) from exceeding the safe working load or manufacturer's guidelines of any of your handling equipment;
- (vii) to the extent that it is increased due to an error or omission in any bill of lading or contract of carriage if cover under Section 3 A (iv) above has not been included in your Schedule;
- (viii) from your liability, despite the cause, if you violated the established weight limit for the transportation;
- (ix) to the extent that it is increased due to your bill of lading or contract of carriage showing a different number of packages to that stated in a subcontractor's bill of lading if cover under Section 3 A (iv) above has not been included in your Schedule;
- (x) from your liability in respect of damage/destruction/loss to cargo during rail carriage if "Commercial Act" on such damage/destruction/loss is not drawn up with the railway in accordance with SMGS Convention.

B გამონაკლისები მხოლოდ ამ მუხლისათვის:

წინამდებარე პოლისით არ ანაზღაურდება მოთხოვნა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია:

- (ი) იმ მოსულობით, რომლითაც ის გაიზარდა თქვენი მომხმარებლის მიერ ტვირთის ღირებულების შესახებ გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაციის შედეგად;
- (იი) თქვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებით მომსახურების გარკვეული დროისთვის ან დროში განხორციელების შესახებ;
- (იიი) გადაზიდვის კონტრაქტით, რომელიც გაკისრებთ პასუხისმგებლობას:
 - (ა) იმ შემთხვევაში, თუ ტვირთის მიტანა არ განხორციელდება გარკვეული დროის განმავლობაში;
 - (ბ) ტვირთის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე, როდესაც ტვირთი არის გაცემული გადასაზიდად წონის ან შეფუთვის რაოდენობის მითითების გარეშე;
- (ივ) აფრიკის ნებისმიერ ქვეყანაში (სამხრეთ აფრიკის გარდა), ირანში, ერაყში, იემენში, ლიბანში, სირიაში, ავღანეთში, მიანმარში, კამბოჯაში ან სამხრეთ ამერიკაში (ჩილეს გარდა), ალბანეთში, კუბასა და ჩრდ. კორეაში მომუშავე მესამე მხარისთვის თქვენი მომსახურების სუბკონტრაქტის საფუძველზე გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თქვენს მიერ სუბკონტრაქტორთან ტვირთის გადაზიდვა შეთანხმებულია ერთჯერადო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობის მინიმუმ იმავე პერიოდს, რომელსაც თქვენი კონტრაქტი და აღნიშნულ მხარესთან არ არის გაფორმებული კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული პერიოდის განმავლობაში თქვენი წარმომადგენლის სახით მოქმედებას;
- (ვ) თქვენს მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტის დებულებებით, რომელთა საფუძველზე თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა, გარდა შეცდომის ან დაუდევრობის შემთხვევებისა;

- (ვი) ნებისმიერი თქვენი ჩატვირთვა-გადმოტვირთვის აღჭურვილობის მწარმოებლის მითითებებში განსაზღვრული უსაფრთხო სამუშაო დატვირთვების გადაჭარბებით;
- (ვიი) იმ მოცულობით, რომლითაც მოთხოვნა გაიზარდა ნებისმიერ სატრანსპორტო ზედნადებში ან გადაზიდვის კონტრაქტში არსებული შეცდომის შედეგად, თუ თქვენი პოლისი არ ითვალისწინებს წინამდებარე პირობების 3 (ივ) პუნქტში აღნიშნული შემთხვევის დაზღვევას;
- (ვიიი) პასუხისმგებლობით ნებისმიერ ზიანზე, მიუხედავად მისი მიზეზისა, თუ ადგილი ჰქონდა გადაზიდვისათვის დადგენილი წონის ლიმიტის დარღვევას;
- (იბ) იმ მოცულობით, რომლითაც მოთხოვნა გაიზარდა ნებისმიერ თქვენს სატრანსპორტო ზედნადებში ან გადაზიდვის კონტრაქტში სუბკონტრაქტორის სატრანსპორტო ზედნადებთან ან გადაზიდვის კონტრაქტთან შედარებით შეფუთვების განსხვავებული რაოდენობის ჩვენების შედეგად, თუ თქვენი პოლისი არ ითვალისწინებს 3 (ივ) პუნქტში აღნიშნული შემთხვევის დაზღვევას.
- (ბ) პასუხისმგებლობით ნებისმიერ ზიანზე, რომელიც დაკავშირებულია სარკინიგზო გადაზიდვის დროს ტვირთის დაზიანება/განადგურება/დაკარგვასთან, თუ აღნიშნული დაზიანება/განადგურება/დაკარგვის შესახებ რკინიგზასთან არ იქნა შედგენილი “კომერციული აქტი” თანახმად სმგს კონვენციისა.

C Conditions only applying to this section:

- (i) You are not insured for any Claim which arises from (or to the extent that it is increased by) a subcontractor that you engage not having insurance, unless before the Accident giving rise to the Claim you have taken reasonable steps to obtain written confirmation from the subcontractor’s insurer (or broker) verifying that the subcontractor is insured for their liability to you under their contractual conditions and applicable mandatory law, and furthermore that their insurance is for a limit no less than USD 50,000.00 (fifty thousand) and ceases on a date which is after the period of service, unless otherwise specified under insurance policy. However, the article does not apply to the subcontractors who carry out the works inside the controlled territory of Georgia.
- (ii) Where you appoint an agent to act on your behalf you should establish that it has a satisfactory reputation and the appropriate experience to fulfill its duties and you should also ensure that it holds and maintains adequate liability insurance during the currency of this policy or is financially able to meet liability for its own errors and omissions.
- (iii) Any agent you appoint to act on your behalf must be properly instructed in writing as to their responsibilities and duties.
- (iv) Notwithstanding anything contained elsewhere to the contrary, **you will only be indemnified for a Claim relating to theft or loss of High Value Cargo if it has resulted from:**
 - (a) forced entry to a secure and locked compound or warehouse;
 - (b) forced entry to a Vessel or locked vehicle provided that such vehicle is not left unattended other than in a locked garage, compound or warehouse except where such vehicle is only temporarily left unattended while at or in proximity to a customer's premises for the purposes of making a delivery.

- (v) For any High Value Cargo in your care custody or control:
 - (a) all transport by road using your own vehicle shall be with a vehicle fitted with a theft alarm, an immobiliser and, if practicable, a telephone;
 - (b) all transport by road shall be in a box trailer, or a general purpose container without open top or side, unless the Customer requires otherwise and agrees to indemnify you for any resulting loss or claim;
 - (c) during road transport the container or trailer to be attached to the vehicle, except when in a port area or on board ship;
 - (d) if the container or trailer is attached to an unoccupied vehicle the doors are locked, the windows are closed and the theft alarm and immobiliser are activated;
 - (e) you use your best endeavours to ensure that the cargo is stuffed at the end of the container or trailer furthest from the door;
 - (f) for carriage by sea, if it is necessary to store the container in the port area, you use your best endeavours to ensure that the storage is door to door with another container, and on at least the second tier of any stack;
 - (g) any discrepancies in the quantity of the cargo are notified immediately to customs or other competent authority;
 - (h) if the cargo is destroyed by an accident such as fire, explosion or collision, you use your best endeavours to obtain a report from customs or other competent authority to confirm that the cargo is destroyed.
 - (i) the sub-contractor has accepted liability on terms that are at least back to back with your own contractual conditions;
 - (j) where you sub-contract road haulage, you shall require the haulier to undertake not to sub-contract further any part of the road carriage and also accept liability on a “back to back” basis as your contract with the Customer.
- (vi) You shall use your best endeavours to take all reasonable and proper steps to ensure compliance with all relevant and applicable regulations and statutory provisions relating to the carriage, handling and storage of dangerous Cargoes.
- (vii) Where you physically handle Cargo, you shall only be granted cover under this section where it is Scheduled as part of your insured services.**

C პირობები მხოლოდ წინამდებარე მუხლისათვის:

- (n) წინამდებარე დაზღვევა არ ვრცელდება იმ მოთხოვნებზე, რომლებიც წარმოიშობა თქვენი ქვეკონტრაქტორის მიერ დაზღვევის არქონის შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უბედური შემთხვევის დადგომამდე თქვენ მიიღეთ წერილობითი დადასტურება ქვეკონტრაქტორის მზღვეველისაგან ან ქვეკონტრაქტორის დაზღვევის პოლისის ასლი და მიიღეთ ყველა გონივრული ზომა, რათა დარწმუნებულიყავით, რომ კონტრაქტისა და კანონმდებლობის საფუძველზე წარმოქმნილი ქვეკონტრაქტორის პასუხისმგებლობა თქვენს მიმართ დაზღვეულია და რომ აღნიშნული დაზღვევის თანახმად პასუხისმგებლობის ლიმიტი შეადგენს არანაკლებ 50,000.00 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს და სადაზღვევო პერიოდი სრულდება მომსახურების დასრულების შემდეგ, თუ საწინააღმდეგო არ არის მითითებული სადაზღვევო პოლისში. ამასთან, წინამდებარე პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ ქვეკონტრაქტორებთან მიმართებით, რომლებიც ახორციელებენ სამუშაოს საქართველოს სახელმწიფოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.

- (იი) თუ თქვენ ნიშნავთ წარმომადგენელს, რომელმაც უნდა იმოქმედოს თქვენი სახელით, თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ მას აქვს დამაკმაყოფილებელი რეპუტაცია და ვალდებულებების შესასრულებლად შესაბამისი გამოცდილება; თქვენ აგრეთვე უნდა დარწმუნდეთ, რომ იგი ფლობს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაზღვევას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ან გააჩნია ისეთი ფინანსური მდგომარეობა, რომლის გამოც მას აქვს შესაძლებლობა პასუხი აგოს თავისი შეცდომებითა და უმოქმედობით დამდგარ ზიანზე.
- (იიი) ნებისმიერ თქვენს წარმომადგენელს, რომელიც იმოქმედებს თქვენი სახელით, უნდა განემარტოს წერილობით თავისი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა;
- (ივ) ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულების მიუხედავად, **„მაღალი ღირებულების ტვირთის“ მოპარვის ან დაკარგვის გამო წამოყენებულ მოთხოვნასთან დაკავშირებული ზარალი თქვენ აგინაზღაურდებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოწვეულია:**
 - (ა) დაკრულ ან ჩაკეტილ შენობაში ან საწყობში ძალისმიერი შეჭრით;
 - (ბ) ჩაკეტილ ავტომანქანაში ძალისმიერი შეჭრით იმ პირობით, რომ ამგვარი ავტომანქანა არ იყო მიტოვებული მძღოლის გარეშე, გარდა ჩაკეტილ ავტოფარეხში, შენობაში ან საწყობში ყოფნისას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ამგვარი ავტომანქანა მხოლოდ დროებით არის დატოვებული უყურადღებოდ მომხმარებლის შენობებში ან შენობებთან ტვირთის მიტანის მიზნით.
- (ვ) თქვენი ზედამხედველობის ან კონტროლის ქვეშ მყოფ მაღალი ღირებულების მქონე ტვირთთან დაკავშირებით:
 - (ა) თქვენს მიერ განხორციელებული გადაზიდვის დროს სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს ძარცვის საწინააღმდეგო სიგნალიზაციით, იმობილთაიზერით და, თუ ეს შესაძლებელია, ტელეფონით;
 - (ბ) საგზაო გადაზიდვა უნდა განხორციელდეს მისაბმელით, ან ზოგადი გამოყენების მეტალის კედლების და სახურავის მქონე დახურული კონტეინერით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი მოითხოვს საწინააღმდეგოს და თანახმაა აანაზღაუროს აღნიშნულით გამოწვეული ზიანი;
 - (გ) საგზაო გადაზიდვის დროს კონტეინერი ან მისაბმელი მიბმულია სატრანსპორტო საშუალებაზე, **გარდა პორტის ტერიტორიაზე ან გემზე ყოფნისას;**
 - (დ) თუ კონტეინერი ან მისაბმელი მიბმულია სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელშიც არ არის მძღოლი, კარები და ფანჯრები დაკეტილია და ძარცვის საწინააღმდეგო სიგნალიზაცია და იმობილთაიზერი ჩართულია;
 - (ე) თქვენ უნდა მიიღოთ ყველა ზომა, რათა ამგვარი ტვირთი მდებარეობდეს კონტეინერის ან მისაბმელის ბოლოში, რაც შეიძლება შორს კარებიდან;
 - (ვ) საზღვაო გადაზიდვის შემთხვევაში, თუ აუცილებელია კონტეინერის პორტის ტერიტორიაზე შენახვა, თქვენ მიიღებთ ყველა შესაძლო ზომას, რათა კონტეინერი შენახულ იქნას სხვა კონტეინერებთან ერთად და საწყობში არსებული კონტეინერების მეორე რიგში მაინც;
- (ზ) ტვირთის ოდენობაში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინებთ საბაჟოს ან სხვა კომპეტენტურ ხელისუფლების ორგანოს;
- (თ) თუ ტვირთი განადგურდა ხანძრის, აფეთქების ან დაჯახების შედეგად, მიიღებთ ყველა შესაძლო ზომას, რათა მოიპოვოთ საბაჟოდან ან ხელისუფლების სხვა კომპეტენტური ორგანოდან ტვირთის განადგურების დამადასტურებელი საბუთი;

- (ი) ქვეკონტრაქტორმა აიღო გადაზიდვის ვალდებულება ისეთი პირობებით, რომლებიც შესაბამეა თქვენს საკონტრაქტო ვალდებულებებს;
- (კ) თქვენ ახორციელებთ ტვირთის გადაზიდვას ქვეკონტრაქტორის მეშვეობით გადაზიდველი განაცხადებს თანხმობას არ განახორციელოს საგზაო გადაზიდვა ქვეკონტრაქტორის მეშვეობით და აღიარებს პასუხისმგებლობას იმავე პირობებზე, როგორც მოცემულია მომხმარებელთან გაფორმებულ თქვენს კონტრაქტში.
- (კი) თქვენ ყველა ღონე უნდა იხმაროთ რათა განახორციელოთ ყველა სათანადო და შესაბამისი ღონისძიება, რათა უზრუნველყოთ სახიფათო ტვირთების გადაზიდვასთან, დამუშავებასა და შენახვასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი წესებისა და კანონის მოთხოვნის შესრულება.
- (კიი) თქვენს მიერ ტვირთის ფიზიკური დამუშავებისას, თქვენ სარგებლობთ მხოლოდ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დაზღვევით იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული წარმოდგენს პოლისით დაზღვეულ მომსახურებას.**

Section/მუხლი 4 - Liability for Fines & Duty/პასუხისმგებლობა ჯარიმებზე და გადასახადებზე

- A** Notwithstanding section 7 exclusions H and I, and subject to the Claims made provision set out in section 1, we will indemnify you in respect of any Claim that you may be deemed or adjudged to be legally liable arising from an unintentional breach of any regulation, legal or statutory provision resulting in fines, customs duty, sales, excise tax, value added tax or similar fiscal charges or other penalty imposed by an Authority on you or any other person acting within their authority on your behalf.
 PROVIDED THAT such breach directly relates to;
 The import or export of Cargo or Equipment of your Customers; or
 Immigration; or
 The safety of working conditions.
- A** მე-7-ე მუხლის H და I პუნქტებში მოცემული გამონაკლისების მიუხედავად და მოთხოვნების წამოყენების შესახებ 1-ელ მუხლში განსაზღვრული დებულებების შესაბამისად, მზღვეველი აგინაზღაურებთ ნებისმიერ იმ მოთხოვნასთან დაკავშირებულ ზარალს, რომელთა მიმართ თქვენ დაგეკისრებათ იურიდიული პასუხისმგებლობა ჯარიმების, ბაჟის, საცალო ბრუნვის გადასახადის, სააქციზო გადასახადის, დამატებითი ღირებულების გადასახადის ან ხელისუფლების ორგანოების მიერ თქვენზე ან თქვენს უფლებამოსილ წარმომადგენლებზე დაკისრებული ნებისმიერი სხვა ფისკალური გადასახადის და ჯარიმების სახით, რომელიც წარმოიქმნება ნებისმიერი ნორმის, სამართლებრივი ან საკანონმდებლო მოთხოვნების წინასწარი განზრახვის გარეშე დარღვევის შედეგად იმ პირობით, რომ ამგვარი დარღვევა უშუალოდ უკავშირდება:
 თქვენი მომხმარებლების ტვირთის ან აღჭურვილობის იმპორტს ან ექსპორტს; ან იმიგრაციას; ან
 სამუშაო პირობების უსაფრთხოებას.

B Exclusions only applying to this section:

This policy will not cover any Claim arising directly or indirectly:

- (i) That has not been properly established, proved or held by an Authority acting within it's powers and duties;
- (ii) For commercial fines or penalties in respect of freight tariffs, competition or the structure or operation of your business or that of any person acting on your behalf;
- (iii) For any breach of any regulation, at our discretion, arising from the weight of Cargo or carrying equipment on a public road;
- (iv) If any Authority determines that it is illegal for you to be insured for any cover given under this section, then the other parts of this section shall remain effective, although no indemnity will be given with respect to any Claim arising from the coverage under this section which is held to be illegal;
- (v) For any amount that would have been payable by you notwithstanding any breach;
- (vi) In the case of the United States - Enforced by the Federal Maritime Commission, Department of Justice or Federal Trade Commission of the United States of America or Drug Enforcement Agency or any such successors.

B გამონაკლისები მხოლოდ წინამდებარე მუხლისათვის:

წინამდებარე პოლისი არ ფარავს პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულ ნებისმიერ მოთხოვნას:

- (ი) რომელიც არ არის სათანადო წესით წამოყენებული ან დამტკიცებული საკუთარი უფლებამოსილებების და მოვალეობების ფარგლებში მოქმედი ხელისუფლების ორგანოს მიერ;
- (იი) სატვირთო გადაზიდვების ტარიფებთან, კონკურენციასთან ან თქვენი ან თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლი საქმიანობის სტრუქტურასთან ან განხორციელებასთან დაკავშირებული ჯარიმების გამო;
- (იიი) ნებისმიერი ნორმის ნებისმიერი ისეთი დარღვევის გამო, რომელიც წარმოქმნილია ტვირთის წონასთან ან საერთო მოხმარების გზაზე აღჭურვილობის გადაზიდვასთან დაკავშირებით;
- (ივ) იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი ხელისუფლების ორგანო გადაწყვეტს, რომ თქვენ კანონის შესაბამისად არ გაქვთ წინამდებარე მუხლის რომელიმე პუნქტის შესაბამისად სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება, წინამდებარე მუხლის სხვა პუნქტებით გათვალისწინებული დაზღვევა დარჩება ძალაში;
- (ვ) იმ თანხაზე, რომელიც გადახდილი უნდა ყოფილიყო თქვენს მიერ დარღვევის მიუხედავად;
- (ვი) ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში – წამოყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საზღვაო კომისიის, იუსტიციის დეპარტამენტის ან ფედერალური სავაჭრო კომისიის ან ნარკოტიკული საშუალებების სააგენტოს ან მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრის მიერ.

Section/მუხლი 5 - Third Party Legal Liability/იურიდიული პასუხისმგებლობა მესამე მხარის მიმართ

A Subject to the Claims made provision set out in section 1, we will indemnify you for Claims in respect of your third party legal liability that you may incur whilst directly performing your insured services arising from an Accident causing third party Bodily Injury or physical loss of or physical damage to third party property. This policy shall also indemnify you for third party consequential loss directly arising from such a Claim that you are legally liable for under this section.

წინამდებარე პირობების 1-ელ მუხლში განსაზღვრული დებულებების გათვალისწინებით, მზღვეველი აგინაზღაურებთ მესამე მხარის მიმართ თქვენი იურიდიული პასუხისმგებლობის დადგომით გამოწვეულ ზარალს, რომელიც დადგა უბედური შემთხვევით გამოწვეული მესამე მხარის სხეულის დაზიანების ან მესამე მხარის ქონების დაზიანების ან განადგურების შედეგად. წინამდებარე პირობების თანახმად აგრეთვე ანაზღაურდება მესამე პირთათვის მიყენებული არაპირდაპირი ზარალი, რომელიც უშუალოდ წარმოიქმნება წინამდებარე მუხლით ანაზღაურებადი მოთხოვნიდან.

B Notwithstanding any contractual indemnity you may be obliged to provide to a third party whilst directly performing your insured services, you shall hereby be covered under section 5 paragraph A above, provided that;

- (a) Such liability would have attached to you in the absence of such contractual indemnity; and,
- (b) Such liability was caused by or contributed to by your fault or negligence.

მესამე მხარის მიმართ კონტრაქტით გათვალისწინებული ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების ვალდებულების მიუხედავად, რომელიც თქვენ შეიძლება დაგეკისროთ თქვენს მიერ დაზღვეული მომსახურებების უშუალო განხორციელებისას, თქვენ მიიღებთ სადაზღვევო ანაზღაურებას მე-5-ე მუხლის A პუნქტის შესაბამისად იმ პირობით, რომ:

- (a) ამგვარი პასუხისმგებლობა დაგეკისრებოდათ კონტრაქტით გათვალისწინებული აღნიშნული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაშიც; და
- (ბ) ამგვარი პასუხისმგებლობა გამოწვეულია თქვენი შეცდომით ან გაუფრთხილებლობით.

C Where you physically handle Cargo you shall only be granted cover within this section where it is Scheduled as part of your insured services.

თქვენს მიერ ფიზიკურად დამუშავებისას, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დაზღვევა გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დამუშავება ხორციელდება თქვენს მიერ დაზღვეული მომსახურების ფარგლებში.

D You are not insured under this section for any Claim arising directly or indirectly from the carriage by air of Dangerous Goods as defined in the IATA regulations.

წინამდებარე მუხლის შესაბამისად დაზღვევა არ ვრცელდება ნებისმიერ იმ მოთხოვნაზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოქმნილია საჰაერო გზით სახიფათო საქონლის გადაზიდვისას, როგორც ეს განსაზღვრულია IATA-ს ნორმებში.

Section/მუხლი 6 - Claims Expenses/მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები

We will indemnify you for Claims Expenses incurred by you with our prior written approval in investigating, minimizing or defending a Claim made against you that is covered elsewhere under this policy. Our indemnity for such Claims Expenses plus the value of any Claim settled shall not exceed the limit of indemnity as contained in the Schedule or as otherwise specified in this policy. These Claims Expenses are subject to the original policy deductible as specified in your Schedule, except where we have successfully defended you against a Claim covered hereunder in excess of the original policy deductible. Only then shall the deductible in respect of Claims Expenses be nil, unless stated otherwise elsewhere.

წინამდებარე პირობების თანახმად ანაზღაურდება მზღვეველის წინასწარი წერილობითი თანხმობით დაზღვეულის მიერ მისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით განსახორციელებელი გამოძიების, ზარალის ოდენობის შემცირების ან დაკვის ხარჯებს, რომლებიც ექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე პირობების სხვა დებულებებით. ამგვარი ხარჯებისა და მოთხოვნის ღირებულების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს პოლისში მითითებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ხარჯებზე ვრცელდება პოლისში მითითებული ფრანშიზა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩვენ წარმატებით დაგიცავთ მოთხოვნისგან, აღნიშნულ შემთხვევაში ფრანშიზა ნულის ტოლი იქნება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული პოლისით.

Section/მუხლი 7 - Exclusions Applicable To All Sections/ საერთო გამონაკლისები

This policy does not cover any actual or alleged liability or Claim arising directly or indirectly from:

წინამდებარე პირობების თანახმად დაზღვევა არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება ნებისმიერ ფაქტობრივ ან შესაძლო პასუხისმგებლობაზე ან მოთხოვნაზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომწვეულია:

- A** your own illegal trade, dishonesty, infidelity or fraud (including fraud by your agent or sub-contractor), collusion, malicious, wilful or deliberate act(s) or reckless conduct, an example of which may be the failure to establish proper systems and controls;
თქვენს მიერ განხორციელებულ არაკანონიერ ოპერაციებით, თაღლითობით, მოტყუებით ან გაყალბებით (მათ შორის თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან სუბკონტრაქტორის მხრიდან გაყალბების), ფარული გარიგებით, განზრახვით ჩადენილი ქმედების ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად, რისი მაგალითიც შეიძლება იყოს სათანადო კონტროლის მექანიზმების შექმნის ვალდებულების შეუსრულებლობა;
- B** the handling, storage or carriage of Cargo which is contraband or in an illegal trade;
კონტრაბანდული ან კანონის დარღვევით ტვირთის დამუშავების, შენახვის ან გადაზიდვის შედეგად;

- C** a publication or utterance in a newspaper, trade journal or magazine or a pre-arranged media interview or any infringement of copyright, patent, service mark or trade name;
 გაზეთში, კომერციულ ჟურნალში ან მედიის საშუალებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციის ან გამონათქვამის ან საავტორო უფლებების, პატენტის, მომსახურების ნიშნის ან სავაჭრო სახელწოდების ნებისმიერი დარღვევის შედეგად;
- D** your insolvency, liquidation, bankruptcy, receivership, trading whilst insolvent or any other financial default or the extending of credit or arising from your inability or failure to pay or collect your debts;
 თქვენი გადახდისუნარიობის, ლიკვიდაციის, გაკოტრების, გაკოტრების მმართველის დანიშვნის, გადახდისუნარიობის დროს სამეწარმეო ოპერაციების წარმოების ან ნებისმიერი სხვა ფინანსური დარღვევის ან კრედიტის გადაჭარბების ან თქვენს მიერ თქვენი ვალების გადახდის ან დაბრუნების შეუძლებლობის შედეგად;
- E** any contractual penalty or penalties from the consequences of the commercial misjudgement on your part;
 ნებისმიერი კონტრაქტით ან სასამართლოს/არბიტრაჟის მიერ დაკისრებული ჯარიმის;
- F** any indemnity or agreement not to rely on any defence or limitation of liability;
 რაიმე შეთანხმებით პასუხისმგებლობის ლიმიტის ან სამართლებრივი დაცვის შეზღუდვების გამოუყენებლობის შესახებ;
- G** the failure to commence, or abandonment of, or delay in the performance of any service;
 ნებისმიერი მომსახურების განხორციელების დაწყების შეუძლებლობის ან მასზე უარის თქმის ან არადროული შესრულების შედეგად;
- H** fines, penalties, punitive or exemplary damages however awarded or described, or any additional damages resulting from the multiplication of compensatory damages;
 ნებისმიერი ჯარიმით ან საურავით ან დამატებითი ხარჯებით, რომელიც გამომწვეულია ანაზღაურებადი ზარალის ოდენობის გაზრდით აღნიშნული ჯარიმებისა და საურავების დაკისრების შედეგად;
- I** any customs duty, sales or excise tax or similar fiscal charge **except as may be specifically agreed by us and as covered under section 4;**
 ნებისმიერი საბაჟო გადასახადის, აქციზით ან დამატებითი ღირებულების გადასახადის ან მსგავსი საგადასახადო მოსაკრებლების შედეგად, **გარდა მზღვეველთან წინასწარ შეთანხმებული და მე-4-ე მუხლის შესაბამისად ანაზღაურებადი შემთხვევებისა;**
- J** the contravention of the rules or regulations of a liner conference, freight tariff, competition or similar agreement;
 ვაჭრობის ასოციაციის დებულებების და შეთანხმებების, ტვირთის გადაზიდვის ტარიფის, საკონკურენციო ან სხვა მსგავსი შეთანხმებების ნორმების ან წესების დარღვევის შედეგად;

- K** from your customs bond or guarantee being made available to a third party;
მესამე მხარისთვის გადაცემული საბაჟო ზედნადებების ან გარანტიების შედეგად;
- L** Vessel valuations or statistical and market information provided to any third party which is included in a share prospectus, bond issue or other document where finance is being raised other than from a sole lender, unless otherwise agreed by us under our standard endorsement;
ხომალდის შეფასებით, სტატისტიკური ან საბაზრო ინფორმაციის მესამე მხარისათვის მიწოდებით, რომელიც შეტანილია აქციების რეესტრში ან სხვა დოკუმენტში, როდესაც ფინანსები მოპოვებულია ერთზე მეტი კრედიტორისაგან, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული მზღვევლთან, რასაც ადასტურებს წინამდებარე პოლისზე გაკეთებული დანართი.
- M** any Vessel or aircraft which is owned, chartered or leased by you or on your behalf, or the ownership, lease, operation or use of any road vehicle used on public roads or any other means of transport, or involving a chassis or trailer which is owned, leased, operated or used by you for use on public roads in the USA or Canada;
თქვენს მიერ ან თქვენი სახელით ნებისმიერი ხომალდის ან საფრენი აპარატის ფლობის ან იჯარის ან ამერიკის შეერთებული შტატების ან კანადის საზოგადოებრივი მოხმარების გზებზე გამოყენებადი ნებისმიერი ავტომანქანის ან ტრაილერის ან კონტეინერმზიდის ან სხვა სატრანსპორტო საშუალების მფლობელობის, იჯარის, გამოყენების ან სარგებლობის შედეგად;
- N** loss of or damage to or the condition or maintenance of any property owned, leased, rented or occupied by you or in your care, custody or control, except as provided in Section 3, whether or not you are required by contract to insure, or for any Claim arising as a result of you being the owner or lessee of any property;
ნებისმიერი მფლობელობაში არსებული, იჯარით აღებული, დაქირავებული ან თქვენი მზრუნველობის, დაცვის ან კონტროლის ქვეშ მყოფი ნებისმიერი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შედეგად, გარდა მე-3-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიუხედავად იმისა მოგეთხოვებათ თუ არა კონტრაქტით მისი დაზღვევა, ან ნებისმიერ იმ მოთხოვნას, რომელიც წარმოქმნილია თქვენს მიერ ნებისმიერი ქონების მფლობელობის ან იჯარით აღების შედეგად;
- O** damage to property worked on by you arising out of such work or any portion thereof, or out of material, parts or equipment furnished in connection therewith, except as provided in Section 3;
თქვენს მიერ დამუშავებადი ქონებისადმი მიყენებული ისეთი ზარალის გამო, რომელიც გამოწვეულია ამგვარი დამუშავებით ან მისი ნებისმიერი ნაწილით, ან ამგვარ დამუშავებასთან დაკავშირებული მასალების, ნაწილების ან აღჭურვილობის მიწოდებასთან, გარდა მე-3-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

- P** discrimination or humiliation, wrongful termination or discharge of employment, failure to employ or promote, wrongful demotion by you of any person or the breach of any obligation by you as an employer to your employees, employees of any sub-agent or sub-contractor, or any third party that may be deemed to be your employee;
 ნებისმიერი პიროვნების დისკრიმინაციის ან შეურაცხყოფის, შრომითი ხელშეკრულების არაკანონიერი შეწყვეტის ან სამსახურიდან კანონის დარღვევით გათავისუფლების, სამსახურში არმიღების ან დანინაურების განუხორციელებლობის, კანონის დარღვევით ჩამოქვეითების ან თქვენს, როგორც დამსაქმებლის მიერ თქვენი თანამშრომლების, ან თქვენი სუბ-კონტრაქტორის თანამშრომლების ან ნებისმიერი ისეთი მესამე მხარის წინაშე ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შედეგად, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თქვენს მიერ დასაქმებულად;
- Q** the Bodily Injury of your employees, employees of any sub-agent or subcontractor, or any third party deemed to be your employee, including Claims made under any worker’s compensation, unemployment compensation, disability benefits law or employer’s liability acts or any other statutory or common law liability to any employee, the spouse, child, parent, brother or sister of such employee or other person employed in any capacity whatsoever by you, your sub-agents or subcontractors or any third party deemed to be your employee when such liability arises out of or in the course of the employment of such person;
 თქვენი თანამშრომლების, ნებისმიერი ქვეკონტრაქტორის თანამშრომლების ან ნებისმიერი ისეთი მესამე მხარის სხეულის დაზიანების შედეგად, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს თქვენს თანამშრომლად; მათ შორის თანამშრომელთა ანაზღაურების, უმუშევრობისთვის დაწესებული ანაზღაურების, შრომისუვნარობისთვის მისაღები ანაზღაურების შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე, თქვენი თანამშრომლის, მისი მეუღლის, შვილის, მშობლის, ძმის ან დის წინაშე სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველზე წამოყენებული მოთხოვნების ჩათვლით ან იმ პირის მოთხოვნის ჩათვლით, რომელიც დასაქმებულია თქვენს მიერ ან თქვენი წარმომადგენლის ან ქვეკონტრაქტორის მიერ ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომელიც კანონმდებლობის თანამად შეიძლება ჩაითვალოს თქვენს თანამშრომლად იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული პასუხისმგებლობა წარმოიქმნება იმ პერიოდში, როდესაც აღნიშნული პირები დასაქმებულნი არიან თქვენს მიერ;
- R** the unsuitability of or any defect in goods or products manufactured, processed, graded, blended, supplied or sold, material used or repairs carried out by you or on your behalf, or any withdrawal, recall, return, inspection, replacement or loss of use arising therefrom;
 ნებისმიერი წარმოებული, დამუშავებული, დახარისხებული, მარკირებული, მოწოდებული ან გაყიდული საქონლის ან პროდუქტის, გამოყენებული მასალის ან თქვენს მიერ ან თქვენი სახელით განხორციელებული შეკეთების უვარგისობის ან დეფექტის, ან ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულების გაუქმების, ნივთის დაბრუნების, შემოწმების, შეცვლის ან გამოყენებლობის შედეგად;

S Bullion, perishable food or flowers, hazelnut, molybdenum, mobile telephones, precious stones, Cash, bonds, negotiable instruments or securities of any kind;
ზოდებთან, მალფუჭებად სურსათთან ან ყვავილებთან, თხილთან, მოლიბდენტთან, მობილურ ტელეფონებთან, ძვირფას ქვებთან, ნაღდ ფულთან, ობლიგაციებთან, საბრუნავ დოკუმენტებთან ან ნებისმიერი სახის ფასიან ქალაქობებთან დაკავშირებით;

T any Claim made by one insured against any other or any Claim made by or against an associated, parent or subsidiary company or by any person or entity having a financial or executive interest in your operation;
 ერთი დაზღვეული პირის მიერ მეორის მიმართ წამოყენებული ნებისმიერი მოთხოვნის, თქვენს კომპანიაში ფინანსური ან ადმინისტრაციული ინტერესის მქონე ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ ან მის წინააღმდეგ წამოყენებული ნებისმიერი მოთხოვნის შედეგად;

U Seepage, Pollution or Contamination unless such is:
 სანვავის ან ზეთის გადინების ან გარემოს დაბინძურების შედეგად, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აღნიშნული:

(i) caused by an event which is sudden and accidental, and such event first commenced on an identified specific date during the Period of Insurance; and
 გამონვეულია მოულოდნელი და უბედური შემთხვევით, და ასეთი რამ თავდაპირველად დაიწყო განსაზღვრულ დღეს სადაზღვევო პერიოდის

(ii) განმავლობაში; და
 the event is discovered and made aware to you within seven days after it first commenced, unless such arises from Cargo not in your care, custody or control; and
 წარმოადგენს შემთხვევას, რომელიც აღმოჩენილი და ცნობილი გახდა თქვენთვის მისი დადგომიდან შვიდი დღის განმავლობაში, თუ ეს არ არის გამონვეული ტვირთით, რომელიც არ იმყოფება თქვენი ზედამხედველობის, დაცვის ან კონტროლის ქვეშ; და

(iii) reported to us as provided under this policy;
 შეატყობინეს მზღვეველს წინამდებარე პოლისის შესაბამისად;

V from dredging operations or the dumping, handling, processing, treatment, storage of any waste or spoil;
 გრუნტის ამოღების სამუშაოების ან ნებისმიერი ნარჩენების ჩატვირთვის, გადმოტვირთვის, დამუშავების ან შენახვის შედეგად;

W industrial disputes, boycotts, strikes, riots, civil commotions, lockouts, stoppages or restraints of labour of whatsoever nature or kind whether partial or general and whether or not involving your employees;
 ნებისმიერი სახის საწარმოო დავების, გაფიცვების, ამბოხის, მასობრივი არეულობების, სამოქალაქო მღელვარების, ლოკაუტის, წარმოების გაჩერების ან მუშაობის შეზღუდვის შედეგად, მიუხედავად მათი ნაწილობრივი ან ზოგადი ხასიათისა ან მათში თქვენი თანამშრომლების მონაწილეობისა;

- X** any continuous, intermittent or repeated exposure to or ingestion, inhalation, installation, distribution, manufacture, sale, utilisation, existence or absorption of the following substances or conditions in any form:
 asbestos, tobacco, alcohol, coal dust, polychlorinated biphenyls, silica, benzene, lead, talc, dioxin, pharmaceutical products or drugs of any type, pesticides or herbicides, human immune virus or acquired immune deficiency syndrome or electromagnetic fields;
 შემდეგი ნივთიერებების ნებისმიერი ფორმის განგრძობადი, პერიოდული ან განმეორებითი ზემოქმედების, მიღების, ინჰალაციის, დამონტაჟების, განაწილების, წარმოების, გაყიდვის, გამოყენების ან აბსორბაციის შედეგად:
 აზბესტი, თამბაქო, ალკოჰოლი, ქვანახშირის მტვერი, პოლიქლორირებული ბიფენილები, კვარცი, ბენზინი, ტყვია, ტალკი, დიოქსინი, ფარმაცევტული პროდუქტები ან ნებისმიერი სახის ნარკოტიკული ნივთიერებები, პესტიციდები ან ჰერბიციდები, აივ-ი ან შიდსი ან ელექტრომაგნიტური ველები;
- Y** any repetitive motion, repetitive stress, repetitive strain or cumulative trauma disorder, including, without limitation, (i) arising from asserted improper design of goods, equipment or machinery or operations, (ii) failure to warn or properly instruct as to the use of goods, equipment or conduct operations, (iii) improper supervision of use of the goods, equipment or machinery or conduct of operations, or (iv) without limiting the foregoing, carpal tunnel syndrome arising
 from, without limitation, use of keyboards or finger pads;
 ნებისმიერი განმეორებითი ქმედების, განმეორებითი სტრესის, განმეორებითი დაძაბულობის ან კუმულაციური ტრავმული მოშლილობის შედეგად, მათ შორის, ლიმიტის გარეშე, (i) საქონლის, ხელსაწყოების ან მექანიზმების ან საქმიანობის არასათანადო დაგეგმარების; (ii) საქონლის ან ხელსაწყო გამოყენების ან საქმიანობის წარმოების შესახებ გაფრთხილების ან სათანადო ინსტრუქციების გაუცემლობის; (iii) საქონლის, ხელსაწყოების ან მექანიზმების გამოყენებასა ან საქმიანობის წარმოებაზე არასათანადო ზედამხედველობის; ან (iv) კლავიატურის გამოყენებით გამოწვეული მათის არხის სინდრომის წარმოქმნის შედეგად;
- Z** Institute Radioactive Contamination, Chemical, Biological, Bio-Chemical and Electromagnetic Weapons Exclusion Clause 10/11/03/ რადიოაქტიური დაბინძურების, ბიოლოგიური, ბიო-ქიმიური და ელექტრომაგნიტური იარაღების გამორიცხვის პირობა:
 In no case shall this insurance cover loss damage liability or expense directly or indirectly caused by or contributed to by or arising from:
 დაზღვევა არავითარ შემთხვევაში არ მოიცავს პასუხისმგებლობას დანაკარგზე ან ზიანზე ან ხარჯზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან დადგა ან წარმოადგენს შემდეგი გარემოებების შედეგს:
 (i) ionising radiations from or contamination by radioactivity from any nuclear fuel or from any nuclear waste or from the combustion of nuclear fuel;
 მაიონებელი რადიაციის ან ნებისმიერი ბირთვული საწვავის ან ბირთვული ნარჩენების ან ბირთვული საწვავის წვის შედეგად გამოწვეული რადიოაქტიური დაბინძურების შედეგად;

- (ii) the radioactive, toxic, explosive or other hazardous or contaminating properties of any nuclear installation, reactor or other nuclear assembly or nuclear component thereof;
ნებისმიერი ბირთვული დანადგარის, რეაქტორის ან სხვა ბირთვული მოწყობილობის ან მისი ბირთვული კომპონენტის რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადსაშიში ან სხვა სახის სახიფათო ან დამაბინძურებელი თვისებების გამო;
- (iii) any weapon or device employing atomic or nuclear fission and/or fusion or other like reaction or radioactive force or matter;
ნებისმიერი ატომური ან ბირთვული დაყოფის და/ან სინთეზის ან სხვა მსგავსი რეაქციის ან რადიოაქტიური ძალის ან ნივთიერების საშუალებით მოქმედი ნებისმიერი იარაღის ან ხელსაწყოების გამო;
- (iv) the radioactive, toxic, explosive or other hazardous or contaminating properties of any radioactive matter. The exclusion in this sub-clause does not extend to radioactive isotopes, other than nuclear fuel, when such isotopes are being prepared, carried, stored, or used for commercial, agricultural, medical, scientific or other similar peaceful purposes;
რადიოაქტიური ნივთიერების რადიოაქტიული, ტოქსიკური, ფეთქებადსაშიში ან სხვა სახიფათო ან დამაბინძურებელი თვისებების. წინამდებარე პუნქტის გამონაკლისი არ ვრცელდება რადიო იზოტოპებზე, გარდა ბირთვული საწვავისა, როდესაც ისინი მზადდება, გადაიზიდება, ინახება ან გამოიყენება კომერციული, სამეურნეო, სამედიცინო, სამეცნიერო ან სხვა მსგავსი მშვიდობიანი მიზნებისათვის;
- (v) any chemical, biological, bio-chemical, or electromagnetic weapon.
ნებისმიერი ქიმიური, ბიოლოგიური, ბიო-ქიმიური ან ელექტრომაგნიტური იარაღი.

AA war, invasion, acts of foreign enemies, hostilities (whether war be declared or not), civil war, terrorism or sabotage, rebellion, revolution, insurrection military or usurped power or confiscation, nationalisation or requisition or destruction of or damage property by or under the order of any authority;
ომის, ინტერვენციის, უცხოელი მტრების მოქმედებების, საომარი მოქმედებების (ომის გამოცხადებით ან მის გარეშე), სამოქალაქო ომის, ტერორიზმის ან საბოტაჟის, აჯანყების, რევოლუციის, სამხედრო ამბოხების ან ძალაუფლების უზურპაციის ან ნებისმიერი ხელისუფლების ბრძანებით ქონების კონფისკაციის, ნაციონალიზაციის, რეკვიზიციის ან განადგურების ან დაზიანების გამო;

AB any calculating, comparing, differentiating, sequencing or processing of data involving date changes in the years 1998, 1999 and 2000, or any other date change including leap year calculations by any computer system, hardware, program or software or microchip, integrated circuit in computer equipment or non-computer equipment;
მონაცემთა ნებისმიერი ისეთი დაანგარიშების, შედარების, დიფერენცირების, დაპროგრამების ან დამუშავების შედეგად, რომელიც მოიცავს თარიღის ცვლილებებს 1998, 1999 და 2000 წლებში, ან ნებისმიერი სხვა თარიღის ცვლილებას, მათ შორის წლების ცვლილების დაანგარიშებას ნებისმიერი კომპიუტერული სისტემის, სისტემური უზრუნველყოფის, პროგრამის ან პროგრამული უზრუნველყოფის ან კომპიუტერული აპარატურის ან არაკომპიუტერული აპარატურის მიკროსქემის ან ინტეგრალური სქემის მიერ;

- (ii) any costs or expenses arising from any preventative or remedial action taken by you, or any other person or entity, to change, alter, modify, replace or test any computer system, hardware, program or software or microchip, integrated circuit in computer equipment or non-computer equipment.

თქვენს, ან ნებისმიერი სხვა პირის ან ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი კომპიუტერული სისტემის, სისტემური უზრუნველყოფის, პროგრამის ან პროგრამული უზრუნველყოფის ან კომპიუტერული აპარატურის ან არაკომპიუტერული აპარატურის მიკროსქემის ან ინტეგრალური სქემის შეცვლის, გამოცვლის, მოდიფიცირების ან შემოწმების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი პრევენციული ან საკორექციო ქმედების შედეგად გამოწვეული ნებისმიერი ხარჯის გამო;

This exclusion applies regardless of any other cause that contributes concurrently or in sequence to any Claim and whether or not such Claim results from your insured services, or the operations of any other third party.

წინამდებარე გამონაკლისი გამოიყენება ნებისმიერი სხვა ისეთი შემთხვევის მიუხედავად, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი მოთხოვნიდან და იმის მიუხედავად, ამგვარი მოთხოვნა გამოწვეულია თქვენი დაზღვეული მომსახურებებიდან, თუ ნებისმიერი მესამე მხარის ქმედებებიდან.

AC Institute Cyber Attack Exclusion Clause 10/11/03/

- (i) Subject only to clause (ii) below, in no case shall this insurance cover loss damage liability or expense directly or indirectly caused by or contributed to by or arising from the use or operation, as a means for inflicting harm, of any computer, computer system, computer software programme, malicious code, computer virus or process or any other electronic system.

ქვემოთ მოცემული (იი) პუნქტის შესაბამისად წინამდებარე დაზღვევა არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება ნებისმიერი კომპიუტერის, ან კომპიუტერული სისტემის, კომპიუტერული პროგრამის, კომპიუტერული ვირუსის ან პროცესის ან სხვა ელექტრონული სისტემის ბოროტი მიზნით გამოყენების ან მუშაობის შედეგად გამოწვეულ ან დამდგარ პირდაპირ ან არაპირ დანაკარგს, ზიანს, პასუხისმგებლობას ან ხარჯს.

- (ii) Where this clause is endorsed on policies covering risks of war, civil war, revolution, rebellion, insurrection, or civil strife arising therefrom, or any hostile act by or against a belligerent power, or terrorism or any person acting from a political motive, (i) shall not operate to exclude losses (which would otherwise be covered) arising from the use of any computer, computer system or computer software programme or any other electronic system in the launch and/or guidance system and/or firing mechanism of any weapon or missile.

(ii) როდესაც წინამდებარე პირობა გამოიყენება ისეთი დაზღვევის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ფარავს ომს, სამოქალაქო ომს, რევოლუციას, აჯანყებას, ამბოხს, ან აღნიშნულით გამომწვეულ სამოქალაქო მლეღვარებას, ან მეომარი მხარის მიერ ან მის წინააღმდეგ განხორციელებულ ნებისმიერ მტრულ ქმედებას, ან ტერორიზმს ან ნებისმიერი პირის მიერ პოლიტიკური მიზნით განხორციელებულ ქმედებებს, პუნქტი (ი) არ გამოირიცხავს იმ ზარალს (რომელიც სხვა შემთხვევაში ანაზღაურდებოდა), რომელიც გამომწვეულია ნებისმიერი კომპიუტერის, კომპიუტერული სისტემის ან კომპიუტერული პროგრამის ან სხვა რომელიმე ელექტრონული სისტემის ნებისმიერი იარაღის ან რაკეტის გაშვების მიზნით და/ან მართვის სისტემის და/ან ცეცხლსასროლი მექანიზმისათვის გამოყენებით.

AD The insurer (as well as any Reinsurer of the risk/s of this policy) is fully released from the obligation to provide further insurance coverage, as well as from the obligation to pay any indemnity/benefit under the policy (however the case may be) of the effective date, if any payment/reimbursement/compensation under the policy would subject the Insurer and/or reinsurer to any sanction or penalty and/or if such payment/reimbursement would expose the Insurer and/or Reinsurer to any prohibition, restriction If affected by the embargo and/or have to violate their requirements, according to any act/resolution of the United Nations, the European Union, the United States of America, the United Kingdom and/or Georgia.

მხარეთა მიერ შეთანხმებულია, რომ მზღვეველი (ისევე როგორც, ამ პოლისის რისკ/ების ნებისმიერი გადამზღვეველი) სრულად თავისუფლდება სადაზღვევო დაფარვით შემდგომი უზრუნველყოფის ვალდებულებისაგან, ისევე როგორც, პოლისის საფუძველზე ნებისმიერი ანაზღაურების/ბენეფიტის გადახდის ვალდებულებისაგან (მიუხედავად შემთხვევის ხდომილების თარიღისა), თუ პოლისის მიხედვით ნებისმიერი გადახდა/ანაზღაურების/კომპენსაციის გაცემა მზღვეველს ან/და გადამზღვეველს დააკისრებს რაიმე სახის სანქციასა თუ ჯარიმას და/ან თუ ასეთი გადახდით/ანაზღაურების გაცემით მზღვეველი ან/და გადამზღვეველი აღმოჩნდება რაიმე სახის აკრძალვის, შეზღუდვისა თუ ემბარგოს ზემოქმედების ქვეშ და/ან მოუწევს მათი მოთხოვნების დარღვევა, თანახმად გაეროს, ევრო კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს და/ან საქართველოს რაიმე აქტისა/რეზოლუციისა

Section/მუხლი 8 - General Conditions/ძირითადი პირობები

A United States Permissive User Liability Clause

In the event of any Authority deciding under the applicable State or Federal law of the United States of America that a third party is entitled to be indemnified under this policy as a result of using or being legally responsible for any vehicle, equipment or conveyance of any description, then the indemnity under this policy shall not exceed the minimum insurance requirements under such applicable State or Federal law.

ამერიკის შეერთებული შტატების მომხმარებლის პასუხისმგებლობა

იმ შემთხვევაში, თუ აშშ ერთერთი შტატის ან ფედერალური კანონის საფუძველზე ნებისმიერი ხელისუფლების ორგანო დაადგენს, რომ მესამე პირი უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პოლისის საფუძველზე ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებაზე ან დანადგარზე იურიდიული პასუხისმგებლობის ფლობის შედეგად, აღნიშნული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ასეთი შტატის ან ფედერალური კანონით დადგენილ მინიმალურ სადაზღვევო მოთხოვნებს

B United States Oil Pollution Act Disclaimer

This policy is not evidence of financial responsibility under the Oil Pollution Act of 1990 or any similar federal or state laws. Any showing or offering of this policy by you as evidence of insurance shall not be taken as any indication that we consent to act as guarantor or to be sued directly in any jurisdiction whatsoever. We do not consent to be guarantors or to be sued directly.

შეერთებული შტატების ნავთობით დაბინძურების შესახებ კანონის საფუძველზე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის უარყოფა

წინამდებარე პოლისის მოქმედება არ ვრცელდება ნავთობით დაბინძურების შესახებ 1990 წლის კანონის ან სხვა მსგავსი შტატის ან ფედერალური კანონის საფუძველზე წარმოქმნილ პასუხისმგებლობაზე. თქვენს მიერ წინამდებარე პოლისის წარმოდგენა დაზღვევის დადასტურების მიზნით არ ნიშნავს ჩვენს თანხმობას აღნიშნული პასუხისმგებლობის აღებაზე ან ნებისმიერი იურისდიქციის სასამართლოში მოპასუხედ გამოსვლაზე. ჩვენ არ ვიძლევივით თანხმობას გარანტიად ან უშუალოდ მოპასუხედ ყოფნაზე.

C Limit of Indemnity

- (i) The limit of indemnity applying to each section of cover or any standard endorsement to this policy is shown in your Schedule. This limit of indemnity may be subject to a sub-limit of indemnity for a particular Claim.
- (ii) Where there are two or more Claims attributable to the same incident or resulting from continuous or repeated exposure to the same or similar conditions the limit of indemnity and deductible applicable under this policy shall be applied as for one Claim. An aggregate limit of indemnity is the maximum amount we will indemnify you under this policy for all Claims during the Period of Insurance
- (iii) A limit or sub-limit of indemnity shall apply to all Claims under this policy and this will include Claims Expenses covered under this policy. If no limit of indemnity is stated in your Schedule it shall be US\$250,000 in the aggregate for all Claims.
- (iv) Where one or more Claims arising from one incident are subject to a lower limit of indemnity than other Claims arising from the same incident:
 - (a) the lower limit of indemnity will be applied to those Claims to which it is applicable, but
 - (b) the total Claim including the part limited by the lower limit of indemnity will not exceed the higher limit of indemnity

პასუხისმგებლობის ლიმიტი

- (ი) მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი მითითებულია დაზღვევის პოლისში. კონკრეტული მოთხოვნის შემთხვევაში პოლისით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს ქვე-ლიმიტი;
- (იი) ერთი და იმავე უბედური შემთხვევის ან ერთი და იგივე პირობების განგრძობადი ან განმეორებითი ზემოქმედების გამო ორი ან მეტი მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი და წინამდებარე პირობების თანახმად გამოყენებადი ფრანშიზა უნდა იყოს ისეთივე, როგორც ერთი მოთხოვნის შემთხვევაში. პასუხისმგებლობის წლიური ლიმიტი წარმოადგენს იმ მაქსიმალურ თანხას, რომელსაც მზღვეველი აგინაზღაურებთ წინამდებარე პირობების შესაბამისად სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში წამოყენებული ყველა მოთხოვნისთვის.
- (იიი) პასუხისმგებლობის ლიმიტი ან ქვე-ლიმიტი ვრცელდება წინამდებარე პირობების საფუძველზე წამოყენებულ ყველა მოთხოვნას და აგრეთვე მოიცავს მოთხოვნებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც ანაზღაურდება წინამდებარე პირობების თანახმად. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს პოლისში არ არის მითითებული პასუხისმგებლობის ლიმიტი, ამ უკანასკნელმა ყველა მოთხოვნისთვის მთლიანობაში უნდა შეადგინოს 250,000 აშშ დოლარი.
- (ივ) როდესაც ერთი შემთხვევის საფუძველზე წამოყენებულ ერთ ან მეტ მოთხოვნაზე ვრცელდება იმავე შემთხვევის საფუძველზე წამოყენებულ სხვა მოთხოვნებისათვის გათვალისწინებულ ლიმიტზე უფრო დაბალი პასუხისმგებლობის ლიმიტი, პასუხისმგებლობის დაბალი ლიმიტი გავრცელდება იმ მოთხოვნებზე, რომელთაც ის შეესაბამება, ხოლო მთლიანი მოთხოვნის ოდენობა, იმ ნაწილის ჩათვლით, რომელზეც ვრცელდება დაბალი პასუხისმგებლობის ლიმიტი, არ უნდა გადააჭარბოს პასუხისმგებლობის მაქსიმალურ ლიმიტს.

D Deductible

The deductible applying to each section of cover or standard endorsement is shown in your Schedule.

Where there are two deductibles which could apply to the same Claim, the higher shall prevail.

ფრანშიზა

ფრანშიზის ოდენობა განისაზღვრება დაზღვევის პოლისში.;

როდესაც ერთსა და იმავე მოთხოვნაზე ვრცელდება ორი ფრანშიზა, გამოიყენება მათგან ყველაზე მაღალი ფრანშიზა.

E Termination

You may terminate or request amendment to the terms of this policy by giving us **30 days notice in writing**.

We may terminate or amend the terms of this policy by giving you 30 days notice in writing.

In the case of termination under (i) or (ii), provided no Claims have been paid or potential Claims notified, any unearned premium will be refunded less our administration costs and any reinsurance costs we cannot recover.

გაუქმება

- (ი) თქვენ უფლება გაქვთ გააუქმოთ წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევა ან მოითხოვოთ წინამდებარე პირობებში ცვლილებების შეტანა **30 დღით ადრე** ჩვენთვის წერილობითი შეტყობინების მიწოდების გზით;
- (იი) მზღვეველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევა ან შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე პირობებში 30 დღით ადრე თქვენთვის წერილობითი შეტყობინების მიწოდების გზით;
- (იიი) (ი) და (იი) პუნქტების შესაბამისად დაზღვევის გაუქმების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ არ არის ანაზღაურებული არანაირი მოთხოვნები ან არსებობს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი, დამზღვევს დაუბრუნდება პრემია დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის პროპორციულად, მზღვეველის ადმინისტრაციული ხარჯებისა და გადაზღვევის ხარჯების გამოკლებით, რომლებიც არ ექვემდებარება დაბრუნებას.

F Disclosure Obligations

Failure by you, your agent or insurance broker to disclose all material information to us or misrepresentation of material information whether deliberately or innocently prior to attachment of the policy shall entitle us to treat the policy as void from inception at our discretion. Furthermore, you shall be under a continuing duty to disclose any material change in circumstance throughout the currency of this policy and failure to do so shall similarly entitle us to treat this policy as void from inception at our discretion.

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

თქვენს ან თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან სადაზღვევო ბროკერის მიერ დაზღვევის ძალაში შესვლამდე ჩვენთვის ნებისმიერი მატერიალური ინფორმაციის განზრახ ან გაუფრთხილებლობით გაუმჟღავნებლობის ან არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია ბათილად ჩათვალოს დაზღვევის პოლისი მისი გაცემის მომენტიდან. თქვენ აგრეთვე ვალდებული ხართ გვაცნობოთ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი გარემოებათა ნებისმიერი მატერიალური ცვლილების შესახებ, რისი განუხორციელებლობაც ანიჭებს მზღვეველს უფლებას ბათილად ჩათვალოს პოლისი

G Claims

- (i) In the event of any Claim made which may or could possibly result in a Claim under this policy you must:
 - (a) **give us notice, as soon as possible** and no later than as specified elsewhere in this policy, in **writing of** such Claim made;
 - (b) take all reasonable steps to avoid, minimize or mitigate a Claim, including prevention of further Claims, **and maintain rights of recourse against any other party**;
 - (c) **not admit liability without our written permission.**
- (ii) Drivers and other employees or sub-contractors should report any Loss of cargo due to theft or robbery either to you or to our company, all reports must reach our company within 24 hours of the incident incurring, unless we are satisfied that there are special circumstances which have made this impossible. If such special circumstances apply the report must be made as soon possible.

Without prejudice to any other provisions of this policy and without waiving any of our rights hereunder, we may at any time appoint and employ on your behalf lawyers, surveyors or other persons for the purpose of dealing with any matter liable to give rise to a Claim under this policy.

- (iv) If you submit any **Claim** to us knowing the Claim to be **false or fraudulent** in any respect whatsoever **you shall forfeit your rights in relation to that Claim and also in relation to any other Claim whether prior or subsequent to the false or fraudulent Claim**, and whether or not relating to the same Period of Insurance, and the policy shall be voidable at our sole discretion.

მოთხოვნები

- (ი) თქვენთვის ნებისმიერი მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა გახდეს წინამდებარე პირობების შესაბამისად მზღვეველისათვის მოთხოვნის წაყენების საფუძველი:
- (ა) თქვენ დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოთ ამგვარი მოთხოვნის შესახებ მზღვეველს;
- (ბ) განახორციელოთ ყველა შესაბამისი ღონისძიება მოთხოვნის თავიდან აცილების, ან ზარალის ოდენობის შემცირების მიზნით, აგრეთვე შემდეგი მოთხოვნების თავიდან აცილებისა და მესამე მხარის წინააღმდეგ რეგრესული მოთხოვნის წამოყენების უფლების შენარჩუნების მიზნით; არ აღიაროთ პასუხისმგებლობა მზღვეველის წერილობითი ნებართვის გარეშე.
- (იი) მძღოლებმა და სხვა თანამშრომლებმა ან ქვეკონტრაქტორებმა უნდა გაცნობონ ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად ტვირთის დაკარგვის თაობაზე თქვენ ან ჩვენს კომპანიას. ჩვენ უნდა მივიღოთ შეტყობინება აღნიშნულის თაობაზე 24 საათის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩვენ ჩავთვლით, რომ სპეციალურ გარემოებათა გამო შეუძლებელი იყო აღნიშნული შეტყობინების გამოგზავნა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეტყობინება უნდა გაკეთდეს რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში;
- (იიი) მზღვეველი უფლებამოსილია წინამდებარე პირობების საფუძველზე წარმოქმნილი მოთხოვნის დარეგულირების მიზნით ნებისმიერ დროს დანიშნოს და დაიქირაოს ადვოკატები, ექსპერტები ან სხვა პირები;
- (ივ) იმ შემთხვევაში, **თუ თქვენ მზღვეველს წაუყენებთ ყალბ მოთხოვნას, თქვენ დაკარგავთ აღნიშნულ და აგრეთვე ნებისმიერ იმ სხვა მოთხოვნასთან დაკავშირებულ თქვენს უფლებებს**, რომლებიც წამოყენებული იქნა აღნიშნულ მოთხოვნამდე ან მის შემდეგ იმავე ან სხვა სადაზღვევო პერიოდში, და შესაბამისად, სადაზღვევო პოლისიც ჩაითვლება გაუქმებულად.

H Recoveries

Any amount recovered or obtained from a third party in respect of any Claim will be credited to us to the full extent of our indemnity before any balance is credited to you.

ნებისმიერ მოთხოვნასთან დაკავშირებით ნებისმიერი მესამე მხარის მიერ ანაზღაურებული ან მიღებული ნებისმიერი თანხა თავდაპირველად გადმოგვეცემა ჩვენ ჩვენს მიერ ანაზღაურებული თანხის დაფარვამდე.

I Other Insurances

Where you are, irrespective of this policy, entitled to be indemnified in whole or in part by any other insurance in respect of any damages or loss which would otherwise be indemnifiable in whole or in part by us under this policy, there shall be no contribution or participation by us under this policy on the basis of any deficiency, concurrent or double insurance for such damages for which you are entitled to be indemnified by other such insurance. This condition will apply whether or not you are actually indemnified by such other insurance.

სხვა დაზღვევები

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის გარდა, უფლებამოსილი ხართ იმდენი ზარალის მთლიანი ან ნაწილობრივი ანაზღაურება სხვა დაზღვევის საფუძველზე ნებისმიერ იმ ზარალთან ან ზიანთან დაკავშირებით, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა ანაზღაურებულიყო წინამდებარე პირობების თანახმად, მზღვეველი არ აანაზღაურებს ზარალის იმ ოდენობას, რომელიც ანაზღაურდება სხვა დაზღვევით. აღნიშნული პირობა მოქმედებს მიუხედავად იმისა, მიიღებთ თუ არა სადაზღვევო ანაზღაურებას სხვა დაზღვევის საფუძველზე.

J Extended Reporting Period

In the event of cancellation or non-renewal of this policy of insurance by us, other than as mentioned below, **you shall have the right, upon payment in full of a further 100 % of the annual premium, to have issued a further endorsement providing a 12-month Extended Reporting Period** for Claims first made against you and reported to us during the Extended Reporting Period. We shall only indemnify you for Claims arising as a result of your Scheduled insured services provided during the Period of Insurance, and not during the Extended Reporting Period. The Extended Reporting Period is subject to all other provisions of this policy including the retroactive date as specified.

- (i) In order for you to invoke the Extended Reporting Period option, payment of the additional premium for the extended period must be paid to us within 30 days of the non-renewal or cancellation.
- (ii) The limit or sub-limit of indemnity for the Extended Reporting Period shall be part of, and not in addition to, our limit or sub-limit of indemnity of for the Period of Insurance.
- (iii) The quotation by us of a different premium or deductible, limit or sub-limit of indemnity or changes in policy language for the purpose of renewal shall not constitute a refusal to renew by us.
- (iv) The right to the Extended Reporting Period shall not be available to you where cancellation or non-renewal by us is due to;
 - (a) material change in your operations; or
 - (b) non-payment of premium; or
 - (c) failure by you to pay such amounts in excess of the applicable limit or sub-limit of indemnity or within the amount of the applicable deductible; or
 - (d) non-compliance with any provision of this policy.
- (v) Nothing contained herein shall operate to increase our limit or sub-limit of indemnity as specified in the Schedule.

შეტყობინებების დამატებითი პერიოდი

მზღვეველის მიერ წინამდებარე სადაზღვევო პოლისის გაუქმების ან განუახლებლობის შემთხვევაში, გარდა ქვემოთ მოცემული შემთხვევებისა, წლიური პრემიის შემდგომი **100%-ის გადახდის საფუძველზე დამზღვევს გადაეცემა დანართი, რომელიც უზრუნველყოფს 12 თვიან დამატებითი შეტყობინებების პერიოდს იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც წამოყენებულია თქვენს წინააღმდეგ და მოხსენებულია მზღვეველისათვის აღნიშნული პერიოდის განმავლობაში.** ამასთან მზღვეველი იღებს ვალდებულებას ავინაზღაუროთ ზარალი მხოლოდ იმ მოთხოვნებთან მიმართებით, რომლებიც წამოყენებულია დაზღვევის და არა დამატებითი პერიოდის განმავლობაში თქვენს მიერ განხორციელებულ პოლისში აღნიშნულ მომსახურებებთან დაკავშირებით. დამატებითი შეტყობინებების პერიოდი ექვემდებარება წინამდებარე პირობების ყველა სხვა დებულებას.

- (ი) იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ითხოვთ დამატებითი შეტყობინებების პერიოდს, დამატებითი პრემიის გადახდა უნდა მოხდეს პოლისის განახლებაზე უარის თქმიდან ან გაუქმებიდან 30 დღის განმავლობაში.
- (იი) დამატებითი შეტყობინებების პერიოდისთვის მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი ან ქვე-ლიმიტი წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდისთვის დაწესებული მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტის ან ქვე-ლიმიტის ნაწილს და არავითარ შემთხვევაში არ აღემატება მას.
- (იიი) მზღვეველის მიერ დაზღვევის განახლების მიზნით პრემიის ან ფრანშიზის, პასუხისმგებლობის ლიმიტის ან ქვე-ლიმიტის, ან წინამდებარე პირობების სხვადასხვაგვარი ცვლილებები არ წარმოადგენს მზღვეველის მიერ დაზღვევის განახლებაზე უარის თქმას;
- (ივ) უფლება დამატებითი შეტყობინებების პერიოდზე არ მოგენიჭებათ, როდესაც პოლისის გაუქმების ან განახლებაზე უარის თქმის მიზეზს წარმოადგენს:
 - (ა) თქვენი საქმიანობის ხასიათის არსებითი ცვლილება; ან
 - (ბ) პრემიის გადაუხდელობა; ან
 - (გ) თქვენს მიერ ზარალის იმ ოდენობის გადაუხდელობა, რომელიც აჭარბებს პასუხისმგებლობის ლიმიტს ან ქვე-ლიმიტს ან შეადგენს ფრანშიზას;
- (დ) წინამდებარე პირობების ნებისმიერი დებულების შეუსრულებლობა.

K Subrogation

The principles of subrogation shall at all times apply to this policy and you shall provide all reasonable co-operation, assistance and relevant information to enable us to pursue a subrogated Claim.

რეგრესი

წინამდებარე პირობების თანახმად მზღვეველს გააჩნია რეგრესის უფლება. თქვენ ვალდებული ხართ გაუწიოთ მზღვეველს დახმარება და მიაწოდოთ ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია აღნიშნული უფლების განსახორციელებლად.

L Assignment

Assignment of interest under this policy shall not be valid except with our written consent.

უფლების გადაცემა

წინამდებარე პოლისით გათვალისწინებული უფლების ნებისმიერ გადაცემას მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გააჩნია იურიდიული ძალა.

M Law

This policy of insurance shall be governed by and construed in accordance with Georgian law and any dispute arising out of or in connection with it should be determined by Georgian legislation.

კანონმდებლობა

წინამდებარე პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა გადაწყვეტილი უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

N Special Condition

This insurance does not cover: a) any Claim directly or indirectly arising out of / related to / consequence of violation of international or any local trade or/and economic sanctions, laws or regulations and/or b) cases where the settlement of Claim directly or indirectly violates international or any local trade or/and economic sanctions, laws or regulations.

სპეციალური პირობა

ეს დაზღვევა არ ფარავს : ა) ნებისმიერ პრეტენზიას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოშობილია / დაკავშირებულია / შედეგია საერთაშორისო ან ნებისმიერი ადგილობრივი სავაჭრო ან/და ეკონომიკური სანქციების, კანონმდებლობის ან რეგულაციების დარღვევის ან/და ბ) ისეთ შემთხვევებს, როცა პრეტენზიის დარეგულირება პირდაპირ ან არაპირდაპირ არღვევს საერთაშორისო ან ნებისმიერ ადგილობრივ სავაჭრო ან/და ეკონომიკურ სანქციებს, კანონმდებლობას ან რეგულაციებს.

O Creditinfo Clause

According to this Agreement, all the provisions shall be confidential. Any information related to this Agreement shall be disclosed to a third person (persons) only in the cases provided under the applicable law and/or by written agreement of the parties. Notwithstanding the aforementioned, by signing the given Agreement the Insured grants the Insurer the unconditional right to submit any information about the Insured available to the Insurer without any additional consent of the Insured to JSC “Creditinfo Georgia” (registered by Mtatsminda-Krtsanisi regional court on February 14, 2005, No. of register: #06/5-51, Identification No.:204470740), which shall lead to the registration of the Insured in the database of “Creditinfo Georgia”.

პირობა “კრედიტინფო“-ს შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს “კრედიტინფო საქართველოს” (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევის აღრიცხვას “კრედიტინფო საქართველოს” მონაცემთა ბაზაში.

Section/მუხლი 9 – Definitions/განცხადებები

Accident/ უბედური შემთხვევა	a sudden event which was neither expected nor intended by you/ უეცარი, თქვენთვის მოულოდნელი და თქვენს მიერ წინასწარ განუზრახავი შემთხვევა
Authority/ ხელისუფლების ორგანო	a duly constituted court, tribunal or government authority of competent jurisdiction acting within legal powers/ კანონის საფუძველზე შექმნილი შესაბამისი იურისდიქცია სასამართლო ან სხვა ხელისუფლების ორგანო, რომელიც მოქმედებს თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში;
Bodily Injury/ სხეულის დაზიანება	all physical or mental injury to a third party including death, disease, illness, disability or nervous shock, resulting from such physical injury/ მესამე მხარისათვის მიყენებული სხეულის დაზიანება, მათ შორის ამგვარი ფიზიკური დაზიანების შედეგად გამოწვეული გარდაცვალება, ავადმყოფობა, დაავადება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან ნერვული შოკი;
Bullion/ზოლი	gold, silver or platinum in bars or similar bulk form/ ოქრო, ვერცხლი ან პლატინა ზოდის ან სხვა მსგავსი ფორმით.
Cargo/ტვირთი	goods, including anything used or intended to be used to pack or secure goods (other than carrying equipment owned or leased by you), carried from one place to another place in respect of which you or your Principal contracts to provide services/ საქონელი, მათ შორის შესაფუთად/დასაცავად გამოყენებული ან გამოსაყენებელი (თქვენს მფლობელობაში არსებული ან დაქირავებული გადასაზიდი მონოპოლიზაციების გარდა), რომელიც გადაიზიდება ერთი ადგილიდან მეორეში, რათა განხორციელდეს თქვენს ან თქვენი კონტრაქტორის მიერ დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
Carrying equipment/ გადასაზიდი აღჭურვილობა	any container, chassis, trailer, railway wagon or similar equipment used for carrying Cargo/ ნებისმიერი კონტეინერი, კორპუსი, მისაბმელი, რკინიგზის ვაგონი ან სხვა მსგავსი აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება ტვირთის გადასაზიდად.
Cash/ნაღდი ფული	bank notes, coins, travellers and bank cheques, drafts, credit and charge cards/ ბანკნოტები, ხურდა ფული, ტურისტული და საბანკო ჩეკები, საკრედიტო ბარათები.

<p>Claim/მოთხოვნა</p>	<p>a written demand received by you made in respect of your Scheduled insured services, under this policy, including the service of suit or institution of arbitration proceedings, during the Period of Insurance/ თქვენს მიერ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მიღებული წერილობითი მოთხოვნა წინამდებარე პირობების საფუძველზე პოლისში მითითებულ დაზღვეული მომსახურებების განხორციელებასთან დაკავშირებით.</p>
<p>Claims Expenses/ მოთხოვნასთან დაკავშირებული ხარჯები</p>	<p>legal costs and expenses incurred in the defence of any Claim(s) arising from an incident covered under this policy, including attorney's fees and disbursements, and the costs and expenses of litigation awarded to any claimant against you by way of interest on judgements, investigation, adjustment, appraisal, appeal and legal costs and expenses. Claims Expenses shall not include fees, salaries or retainers for salaried employees and employed counsel and your administrative expenses unless our prior agreement has been obtained/ სასამართლო ხარჯები, რომლებიც განეულია წინამდებარე პირობების თანახმად დაზღვეული შემთხვევის საფუძველზე წამოყენებული მოთხოვნის (მოთხოვნების) დაკვასთან დაკავშირებით, მათ შორის ადვოკატების ჰონორარის, სასამართლო პროცესის, გამოძიების, ექსპერტიზის, აპელაციის ხარჯების ჩათვლით. მოთხოვნასთან დაკავშირებული ხარჯები არ მოიცავს მზღვეველის წინასწარი თანხმობის მიღებამდე გაღებულ გადასახადებს, ხელფასებს ან ანაზღაურებაზე მყოფი თანამშრომლებისთვის და დაქირავებული კონსულტანტებისთვის საგანგებო მომსახურებისთვის გადახდილ თანხებს, აგრეთვე თქვენს ადმინისტრაციულ ხარჯებს;</p>
<p>Customer/ მომხმარებლები</p>	<p>any person for whom you provide services, whether directly or through your subcontractors/ ნებისმიერი პირი, რომელსაც უნევთ მომსახურებას პირადად ან თქვენი სუბკონტრაქტორების საშუალებით.</p>
<p>Equipment/ აღჭურვილობა</p>	<p>carrying or handling equipment/ გადაზიდვის ან ჩატვირთვა-გადმოტვირთვის აღჭურვილობა.</p>
<p>Extended Reporting Period/ დამატებითი შეტყობინების პერიოდი</p>	<p>shall be the 12-month period of time after the end of the Period of Insurance for reporting Claims which take place prior to the end of the Period of Insurance and as otherwise covered by this policy/ სადაზღვევო პერიოდის დასრულებიდან 12 თვიანი პერიოდი იმ მოთხოვნების შეტყობინებისთვის, რომლებიც წარმოიქმნა სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე;</p>

<p>Gross freight receipts/ ტვირთების ტრანსპორტირებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი</p>	<p>gross revenue plus payments to agents and subcontractors in respect of transport services, but excluding customs duty, sales tax, or similar fiscal charges paid on behalf of Customers/ მთლიანი შემოსავალი პლიუს აგენტების ან სუბკონტრაქტორების სასარგებლოდ სატრანსპორტო მომსახურებისთვის განხორციელებული გადახდები, მომხმარებელთა სახელით გადასახდელი საბაჟო მოსაკრებლების, სავაჭრო გადასახადის ან მსგავსი ფისკალური გადასახადების გამოკლებით.</p>
<p>High Value Cargo/ მაღალი ღირებულების ტვირთი</p>	<p>cigarettes, spirits, wines, computers, computer components, televisions, audio equipment, precious metal objects, jewellery or Valuable Works of Art / სიგარეტები, სპირტი, ალკოჰოლური სასმელები, კომპიუტერები, კომპიუტერის ნაწილები, ტელევიზორები, აუდიო აპარატურა, ძვირფასი მეტალისგან დამზადებული საგნები, საიუველირო ნაწარმი და ძვირფასი ხელოვნების ნიმუშები.</p>
<p>Insured/დამზღვევი</p>	<p>as identified in the Schedule hereto, and partner, executive officer, managing employee, director, president, vice-president thereof while acting within the scope of the duties bestowed on that person by the Insured/ პოლისში განსაზღვრული იურიდიული პირი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი</p>
<p>NVOC (nonvessel owning carrier)/ გადამზიდველი, რომელიც არ ფლობს საზღვაო ტრანსპორტს</p>	<p>non-vessel owning carrier, being a freight forwarder who does not operate a Vessel but who issues his own bill of lading/ ტვირთის გადამზიდავი, რომელიც არ წარმოადგენს ხომალდის მფლობელს, არ მართავს ხომალდს, მაგრამ გასცემს საკუთარ სატრანსპორტო ზედნაღებს.</p>
<p>Period of Insurance/ სადაზღვევო პერიოდი</p>	<p>the duration of the policy which is shown in the Schedule, but not including the extended notification period or the Extended Reporting Period/ დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია პოლისში და არ მოიცავს შეტყობინების დამატებით პერიოდს.</p>
<p>Principal/პრინციპალი</p>	<p>any person, company or organization who you agree to represent as agent or broker/ ნებისმიერი პირი, კომპანია ან ორგანიზაცია, რომელთანაც შეთანხმებული ხარო აგენტის ან ბროკერის სახით წარმოდგენაზე.</p>

<p>Protection and Indemnity policy/ დაცვის და ზარალის ანაზღაურების პოლისი</p>	<p>a policy of insurance provided to the owner or operator of a ship including but not limited to cover for third party, crew, collision, carriage of goods, fines and pollution liabilities/ გემის მფლობელზე ან ოპერატორზე გაცემული სადაზღვევო პოლისი, რომელიც მოიცავს დაფარვას მესამე მხარის, მომსახურე პერსონალის სასარგებლოდ და შეჭახებასთან, ტვირთების გადაზიდვასთან, გადასახადებთან და გარემოს დაზიანებებთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს.</p>
<p>Policy/პოლისი</p>	<p>the Policy we issue to you evidencing the terms, conditions and premium for this insurance/ ჩვენს მიერ თქვენზე გაცემული საბუთი, რომელიც ადასტურებს წინამდებარე პირობების საფუძველზე დაზღვევის განხორციელებას, აგრეთვე დაზღვევის ვადებს, პირობებს და პრემიას.</p>
<p>Seepage, Pollution and Contamination/ საწვავის ან ზეთის გადინება და გარემოს დაზიანება</p>	<p>the emission, discharge, disposal, release or escape of smoke, vapour, soot, dust, liquid, gas, petroleum substance or derivative, chemical or waste material or toxic material of any kind into or upon land, sea, the atmosphere, or any watercourse or body of water/ კვამლის, ორთქლის, ქვარტლის, მტვრის, სითხის, აირის, საწვავი ნივთიერების ან მისგან წარმოებული ნივთიერების, ქიმიური ან ნარჩენი მასალის ან ნებისმიერი სახის ტოქსიკური მასალის გამოყოფა, გადმოტვირთვა, გადაგდება, გადასხმა ან გამოშვება ხმელეთზე, ზღვაში, ჰაერში ან ნებისმიერ წყალსატევში.</p>
<p>Valuable works of art/ძვირფასი ხელოვნების ნიმუშები</p>	<p>includes antiques, paintings, furniture, sculptures, tapestries, objects for display, if the value exceeds US\$ 20,000 each item or set of items/ მოიცავს ანტიკვარიატს, ფერწერულ ტილოებს, ავეჯს, სკულპტურებს, გობელენებს, საჩვენებელ ობიექტებს, რომელთაგან თითოეულის ან მათი კომპლექტის ღირებულება აღემატება 20,000 აშშ დოლარს.</p>
<p>Vessel/ხომალდი</p>	<p>Includes ship, boat (whether self propelled or not), craft, hovercraft and any description of watercraft or structure for use in navigation on, under or over water/ მოიცავს გემს, ნავს (თვითმავალი ან არათვითმავალი), გემს საჰაერო ბალიშზე, და ნებისმიერი აღწერილობის და სტრუქტურის საწყალოსნო ხომალდს, რომელიც გამოიყენება ნავიგაციისთვის წყალზე ან წყალქვეშ.</p>

<p>Year 2000 conformity/ 2000 w. შესაბამისობა</p>	<p>Neither performance nor functionality is affected by dates prior to, during and after the year 2000. In particular:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) No value for current date will cause any interruption in operation. (ii) Date-based functionality must have consistency for dates prior to, during and after the year 2000. (iii) In all interfaces and date storage, the century in any date must be specified explicitly or by unambiguous algorithms or inferencing rules. (iv) Year 2000 must be recognised as a leap year. წინამდებარე პირობების შესაბამისად დაზღვეული საქმიანობის განცხორციელებაზე გავლენას არ ახდენს 2000 წლამდე ან მის შემდეგ არსებული თარიღები, კერძოდ: <ul style="list-style-type: none"> (ი) მიმდინარე თარიღის არანაირმა აღნიშვნამ არ უნდა გამოიწვიოს საქმიანობის შეჩერება; (იი) თარიღზე დაფუძნებული ფუნქციონალურობა უნდა შესაბამებოდეს თარიღებს 2000 წლამდე და შემდეგ: (იიი) ყველა ინტერფეისში და მონაცემთა ბაზაში ნებისმიერი თარიღის აღნიშვნისას გასაგებად ან არაორაზროვანი ალგორითმის მეშვეობით უნდა განისაზღვროს საუკუნე; (ივ) 2000 წელი უნდა აღინიშნოს, როგორც ნაკიანი წელიწადი.
<p>Words importing the singular number only shall include the plural number and vice versa. Words importing the masculine gender only shall include the feminine gender. Word “person” shall include natural and legal persons. მხოლოდითი რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვები მოიცავს მრავლობითს და პირიქით. ტერმინი “პირი” გულისხმობს ფიზიკურ და იურიდიულ პირს.</p>	

Insurer/მზღვეველი _____

Insured/დამზღვევი _____